



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhiashvili Tbilisi State University

კულტურის კვლევათა ინსტიტუტი  
ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა  
Institute of Cultural Studies  
UNESCO Chair in Intercultural Dialogue



United Nations Educational, Scientific and  
Cultural Organization



UNITWIN/UNESCO Chairs – Twinning Networks and  
University Networks

# ცივილიზაციური კიეზანი CIVILIZATION RESEARCHES

N16, 2018



უნივერსიტეტის  
განმცხადებლობა

შინაარსი  
CONTENTS

<b>Nino Samkharadze.</b> Soviet Nationality Policy and its Impact on Modern Nationalisms in the Former Soviet Union Countries .....	9
<b>Nino Gozalishvili.</b> 'Georgian Stalin' in the Artworks of Irakli Toïdze and Nationalism under Imperialism .....	19
<b>მარინა ანდრაზაშვილი.</b> რიჰარდ მეკელაინი და პირველი თაობის ქართული ემიგრაცია ბერლინში .....	26
<b>Marina Andrazashvili.</b> Richard Meckelein and the first Generation of Georgian Emigrants in Berlin .....	34
<b>Sirje Kupp-Sazonov.</b> Who is that Mysterious <i>we</i> in English, Russian and Estonian? .....	36
<b>მარგო კუბლაშვილი.</b> კულტურათაშორისი კომუნიკაცია მრავალეთნიკურ სამუშაო გარემოში: ძირითადი ბარიერები, გამოწვევები და მათი დაძლევის გზები .....	44
<b>Margo Kublashvili.</b> Intercultural Communication in a Multiethnic Workplace: Barriers, Challenges and Problem-Solving Strategies (on the Case of Qatar Airways) .....	56
<b>Irine Demetradze.</b> The Word "Health" from the Etymological, Semantic and Pragmatic Viewpoints .....	57
<b>ირინე საგანელიძე.</b> მრავალეთნოსური თბილისის მულტიკულტურული ტრადიციები .....	60
<b>Irine Saganelidze.</b> Multicultural Traditions of Multiethnic Tbilisi .....	80

მარინა ანდრა ზაშვილი

## რიჰარდ მეკელაინი და პირველი თაობის ქართული ემიგრაცია ბერლინში

### 1. პრესუპოზიციები, მიზანი, ამოცანები

წინამდებარე პუბლიკაციას საფუძვლად დაედო გერმანელი ენათმეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის – რიჰარდ მეკელაინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, რომლებსაც შემთხვევით წავეწყდი გერმანიის არქივებში ჩემს ძირითად დარგობრივ, ანუ გერმანიისტული პროფილის საკვლევ პროექტებზე მუშაობისას. მართალია, თავდაპირველად მიგნებული მასალის შესწავლა-დამუშავება ჩემს უშუალო ინტერესთა სფეროს არ განეკუთვნებოდა, მაგრამ რამდენიმე გარემოებამ განაპირობა, რომ გერმანულ წიგნსაცავებსა თუ არქივებში მუშაობის ყოველი ახალი შემთხვევა პარალელურად გამომეყენებინა ასევე მეკელაინის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად. უმთავრეს იმპულსად კი იქცა მისი ნაშრომი „შესავალი გერმანულ ენაში ქართველებსთვის“ *ქრესტომატიური ნაწილითა და ლექსიკონითურთ*, ბერლინი (1922): გამომცემლობა „Naher Osten“ (ახლო აღმოსავლეთი),<sup>1</sup> რომელმაც საბოლოოდ გადაამწყვეტინა, ანალიზის ობიექტად მექცია როგორც თვით ნაშრომი, ისე მისი ავტორის პიროვნება და ნაშრომის შესაქმნელად, სავარაუდოდ, მისთვის ინსპირაციის მიმცემი სოციალურ-ეპოქალური კონტექსტი. შესაბამისად, წინამდებარე პუბლიკაციაში უკვე გამიზნულად შევეცადე, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აღმედგინა რიჰარდ მეკელაინის ცხოვრების ამსახველი ფაქტები და შეძლებისდაგვარად სრულყოფილად წარმომეჩინა ისინი გერმანულ-ქართულ შეპირისპირებით კონტექსტში, რათა ქართველ მკითხველს შექმნოდა მეკელაინის, როგორც მკვლევრის, მეოცე საუკუნის ბერლინის ინტელექტუალური წრეების კოლორიტული ფიგურისა და, რაც მთავარია, აქტიური საზოგადო მოღვაწის, ბერლინში იმდროინდელ ქართულ სათვისტომოსთან დაახლოებული პირის სურათი.

მუშაობისას ვეყრდნობოდი ქრონიკებს, დაცულს: ბერლინის ჰუმბოლდტ-უნივერსიტეტის არქივში, ცელენდორფის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში, ფრანკფურტ-ამ-მაინის გოეთე-უნივერსიტეტთან არსებულ ჰაინრიჰ-რორბახერ-არქივში, ასევე ბონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ამავე უნივერსიტეტის არქივში (მოკლე ინფორმაცია ზოგიერთი მათგანის შესახებ ან კატალოგის ჩანაწერის ნომერი წარმოდგენილია ასევე დასახელებულ ინსტიტუციათა ინტერნეტ-საიტზეც; იხ. ბიბლიოგრაფია). საგულისხმოა, რომ, გარემოებათა გამო, რიჰარდ მეკელაინის მემკვიდრეობა მთლიანობაში თვით გერმანიაშიც კი ჯერაც არ არის ბოლომდე სრულყოფილად შესწავლილი და კატალოგიზებული. წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალა ასახავს 2017 წლამდე არსებულ ვითარებას; ამის შემდეგ ძიება საკვლევ ობიექტის ირგვლივ ზემოაღნიშნულ საცავებში აღარ გამიგრძელებია, ამდენად, არ გამოვრიცხავ ბოლო ორი წლის მანძილზე არქივების ახალი მასალებით გამდიდრების პოტენციურ შესაძლებლობას.

ქართულ წყაროებში, სამწუხაროდ, ხელჩასაკიდებელს ბევრს ვერაფერს მივაკვლიე, გარდა *ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში* განთავსებული მცირე ზომის სალექსიკონო სტატიისა (ტომი 6, 1970: 552), რომლის ავტორიც, ვინმე ს. ჭიჭინაძე, გამომცემლობის კომენტარით „*უცხოელი მეგობარი*“,

<sup>1</sup> ორიგინალის ბიბლიოგრაფიული მონაცემები: Meckelein, Richard (1922 / 1924 / 1931): *Einführung in die deutsche Sprache für Georgier* (nebst Chrestomathie und Wörterbuch). Bearbeitet von Richard Meckelein, Dozent am Seminar für orientalische Sprachen an der Universität Berlin. Berlin: Kultur-Verlagsgesellschaft m.b.H. „Naher Osten“.

სავარაუდოდ, გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი უნდა ყოფილიყო, თუმცა სტატიაში არ იკვეთება მისი პირადი ნაცნობობა მეკელაინთან. ქართული ინტერნეტწყაროებიდან ერთადერთია ვიკიპედია (<https://ka.wikipedia.org/wiki/>), რომელიც მეკელაინს ეძღვნება, და რადგან თითქმის მთლიანად ზემოხსენებულ საენციკლოპედიო სტატიას ეყრდნობა, მისი მოხსენიების უფლებაც მივეცი თავს წინამდებარე პუბლიკაციაში. მეკელაინის გვარი მხოლოდ ფრაგმენტულად ფიგურირებს მასთან კონტაქტში მყოფი, იმხანად ბერლინში მცხოვრები ქართველი საზოგადო მოღვაწეებისადმი (გრიგოლ დიასამიძე, მიხაკო წერეთელი, ივანე ვარაზაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე და ა.შ.) მიძღვნილ ქართულენოვან ინტერნეტწყაროებში (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სერია: ქართველები უცხოეთში<sup>1</sup> <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/>), თუმცა ანალოგიური ინფორმაციის არსებობა გერმანულ წყაროებში მხოლოდ ნაწილობრივ დასტურდება, რამაც, ერთი მხრივ, შეიძლება ქართული წყაროების ნაკლებკომპეტენტურობა ან მათი მხოლოდ ზეპირ წყაროებზე დაყრდნობა გვაფიქრებინოს; მეორე მხრივ კი, გერმანელი ისტორიოგრაფების გადმოსახედიდან – თვით ფაქტების არარელევანტურობა, ქრონიკებში მათი შეტანის თვალსაზრისით დოკუმენტური მასალის ხელთ არქონის გამო.

არსებულ მოცემულობათა გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომი სტრუქტურულად ისე ავაგე, რომ მეორე თავში მეკელაინის ბიოგრაფია მოვაქციე, მესამე თავში კი – მისი ეპოქის ისტორიული ფონი და ინფორმაცია ზემოხსენებული წიგნის – *ქართველებისთვის განკუთვნილი გერმანული ენის სახელმძღვანელოს* შექმნის შესახებ.<sup>2</sup>

## 2. რიჰარდ მეკელაინის ბიოგრაფია და მისი ეპოქა

რიჰარდ მეკელაინის ბიოგრაფია, მიუხედავად ერთდროულად რამდენიმე სოლიდურ არქივში დაცული მასალებისა, არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. ძირითადად ყველგან ერთი და იგივე ფაქტებია წამოწეული წინა პლანზე, რომლებსაც ქვემოთ, ერთად თავმოყრილს, წარმოვადგენთ ტაბულარული ფორმით:

- 13.09.1880 დაიბადა ქალაქ არნშტაინში (უნტერფრანკენი/ბავარია).
- 1890–1913 სწავლობდა არნშტაინის გიმნაზიაში; ეუფლებოდა ფილოსოფიასა და უცხოურ ენათა ფილოლოგიას ვიურცბურგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში; დაამთავრა ბერლინის ფრიდრიჰ-ვილჰელმ-უნივერსიტეტი (Friedrich-Wilhelms-Universität, Berlin; ამჟამად ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი/Humboldt Universität) და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.
- 1914–1919 გადიოდა სავალდებულო საჯარო სამსახურს (ვოლუნტარიატს) საბიბლიოთეკო საქმის განხრით *პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში* (Preußische Staatsbibliothek; 1954 წელს ეწოდა *გერმანიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა/Deutsche Staatsbibliothek*; დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინის ერთ ქალაქად გაერთიანების შემდეგ – Deutsche Staatsbibliothek zu Berlin).
- 1919–1920 იკავებდა დამხმარე ბიბლიოთეკარის თანამდებობას *პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში*.
- 1920–1925 ითვლებოდა *პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკის* მრჩეველად.
- 1925 დაინიშნა მასწავლებლად სამხრეთსლავური ენების განხრით ბერლინის ფრიდრიჰ-ვილჰელმ-უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტზე (ძველი ტრადიციის მიხედვით ე.წ. „*ორიენტალისტიკის სემინარზე*“/Orientalisches Seminar).

<sup>1</sup> ბიოგრაფიული მონაცემები ზოგიერთი მათგანის შესახებ, გამოკვლევისთვის რელევანტური პერიოდის გათვალისწინებით, საჭიროებისამებრ, შერჩევით წარმოვადგინე წინამდებარე პუბლიკაციაში სქოლიოების სახით.

<sup>2</sup> წინამდებარე პუბლიკაციაში თავი შევიკავე სახელმძღვანელოს ლინგვისტიკური და მეთოდოლოგიური ანალიზისგან, რადგან ვფიქრობ, ამ ფენომენს საგანგებო გამოკვლევა უნდა მიეძღვნას, რომელშიც ძირითადი აქცენტებიც შესაბამისად განაწილდება წიგნში დამუშავებული თემების, ტექსტების სახეობის, მათში წარმოდგენილი ლექსიკისა და სხვადასხვა ენობრივი დონის გრამატიკულ მოვლენათა მიხედვით.

- 1926 არჩეულ იქნა *ორიენტალისტიკის სემინარის* სამხრეთსლავური ენების (ზოგიერთი ვერსიის მიხედვით – იმავდროულად, კავკასიური ენების) პროფესორად.
- 1940 ითვლებოდა იმავე უნივერსიტეტის დოცენტად ქართული და ბალკანური ენების განხრით ე.წ. „*უცხოეთმცოდნეობის ფაკულტეტზე*“ (Auslandswissenschaftliche Fakultät der Universität Berlin), რომელმაც ნაციონალ-სოციალიზმის წლებში ჩაანაცვლა მანამდე არსებული „*ორიენტალისტიკის სემინარი*“.
- 1946–1947 მუშაობდა დოცენტად იმავე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე; ასწავლიდა და იკვლევდა რუსულს, ქართულსა და ბალკანურ ენებს.
- 1946–1947 იყო ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების ფაკულტეტის პედაგოგი (ზოგიერთი ვერსიის მიხედვით – პროფესორი) და ასწავლიდა რუსულს, პოლონურსა და ჩეხურს (Allgemeinsprachwissenschaftliche Fakultät der Technischen Universität Berlin).
- 4.11.1948 გარდაიცვალა ბერლინში, დაკრძალულია ცელენდორფში.

მეკელაინის პირადი ცხოვრებიდან ცნობილია მხოლოდ რამდენიმე დეტალი, კერძოდ: ის დაქორწინებული ყოფილა ელიზაბეტ მიულერზე, ცელენდორფის ბიბლიოთეკის დირექტორის ქალიშვილზე, რომელთანაც შესძენია ვაჟი, ვოლფგანგ მეკელაინი, შემდგომ ფართო პროფილის მეცნიერი: გეოგრაფი, გეოლოგი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი – პროფ. დოქტ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განხრით, წლების მანძილზე შტუტგარტის ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი და შტუტგარტის უნივერსიტეტის რექტორი; ერთხანს პოლიტიკური მოღვაწე ბუნდესლანდ ბადენ-ვიურტემბერგში, კერძოდ, კულტურის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი უმაღლესი განათლების განხრით,<sup>1</sup> რომლის სახელსაც უკავშირდება საუნივერსიტეტო რეფორმის მომზადება ბუნდესლანდში. მესამე თაობის წარმომადგენლებიდან საარქივო მასალებში მხოლოდ ორი შვილიშვილია მოხსენიებული, ამჟამად უკვე ასაკოვანი ქალბატონები, რომლებიც ტაუნუსის საეკლესიო გუნდში გალობდნენ და რომელთაგან ერთ-ერთს, ანგელიკა კაისჰოლდს (Angelika Keishold), პაპის ხსოვნის პატივსაცემად, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ურთიერთობა დაუმყარებია თბილისის ერთ-ერთ სკოლასთან (<http://taunus-tiflis.de/html/geschichte.html>), რასაც შედეგად მოჰყოლია ე.წ. „*ტაუნუს-თბილისის საზოგადოების*“, ანუ ქართველებისთვის მატერიალური და მორალური *თანადგომის ფონდის* (<http://www.taunus-tiflis.de/>) ჩამოყალიბება.

ქართული წყაროების მიხედვით, მეკელაინს 1922 წელს ბერლინში დაუფუძნებია „*რუსთაველის საზოგადოება*“; მისივე ინიციატივით დაარსებულა კულტურულ ურთიერთობათა გამომცემლობა „ახლო აღმოსავლეთი“ (Kultur-Verlagsgesellschaft „Naher Osten“); აქტიურად სცოდნია ოცდაათამდე ენა; ქართულად უწარმოებია მიმოწერა: აკაკი შანიძესთან, სიმონ ყაუხჩიშვილთან, რაფიელ ნიჟარაძესთან, გრიგოლ წერეთელთან, მიხეილ ჯავახიშვილთან; კონსტანტინე გამსახურდიას მოუნათლავს მისი ვაჟი ვოლფგანგი. გრიგოლ რობაქიძეს ჩვევად ჰქონია, პირველად მეკელაინისთვის წაეკითხვინებინა თავისი გერმანულენოვანი ხელნაწერები. ფაშისტური დიქტატურის წლებში მეკელაინს უარი უთქვამს პარტიის წევრობაზე, რის გამოც ჩამოუქვეითებიათ პროფესორის თანამდებობიდან.

<sup>1</sup> ვოლფგანგ მეკელაინი (\*1919 ბერლინი – †1988 შტუტგარტი), ცელენდორფის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გადიოდა ჯერ სავალდებულო სახელმწიფო სამსახურს, შემდეგ სამხედრო სამსახურს; იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, იბრძოდა უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში; 1948–1951 წლებში სწავლობდა ბერლინის ჰუმბოლდტ-უნივერსიტეტში; 1951 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მამისგან მიღებული ინსპირაციით უძღვნა ჩრდილოეთ კავკასიის თემას; უპირატესად ითვლებოდა საპარის უდაბნოს კვლევის სპეციალისტად. მისი სამეცნიერო არქივი დაცულია შტუტგარტის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, პოლიტიკური მოღვაწეობის ამსახველი მასალები კი ინახება ნაწილობრივ ბადენ-ვიურტემბერგის არქივში: ჩანაწერი Findbuch Q 1/45 (ფრაგმენტული სახით იხ.: <https://www2.landesarchiv-bw.de/ofs21/olf/einfueh.php?bestand=6746>), ნაწილობრივ – გერმანიის სახელმწიფო არქივში (ფრაგმენტული სახით იხ.: <https://www.deutsche-digitale-bibliothek.de/item/PIIZ2JFGV3IGNQ27LVPZWRCEHKDKS4WM#0>).

ქართული წყაროებიდან ამოკრებილი ზემომოტანილი ფაქტებიდან მხოლოდ მცირედი თუ დასტურდება გერმანულ წყაროებში, საპირისპირო არგუმენტებიც ყოველთვის ვერ იძებნება, ამდენად, არარაციონალური იქნებოდა, მსჯელობის საგნად მექცია სათითაოდ ყოველი მათგანი. შევჩერდები მხოლოდ რამდენიმეზე: მეკელაინის ვერცერთ არქივში ვერ მივაკვლიე ქართველებთან მიმოწერის დამადასტურებელ ქართულენოვან ხელნაწერებს; სამაგიეროდ ვნახე მასალები XIX საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში მისი კავშირის შესახებ ბერლინში არსებული ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებთან და პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ქართველ ტყვეებთან. ამ კონტაქტების აშკარა დასტურია ასევე მთელი მისი მეცნიერული მოღვაწეობა ქართველოლოგიის დარგში: *ქართულ-გერმანული ლექსიკონის* შედგენის ფაქტი, უპირველესად კი იმ *გერმანული ენის სახელმძღვანელოს* წინასიტყვაობა, რომელიც წინამდებარე პუბლიკაციის შესავალში უკვე მოვიხსენიე, მესამე თავში კი საგანგებოდ იქნება განხილული. საარქივო მასალები არც იმის თაობაზე იძლევა ინფორმაციას, თუ ზუსტად რამდენი ენა სცოდნია მეკელაინს, მაგრამ რუსულს, პოლონურს, რამდენიმე ბალკანურ ენასა და ქართულს რომ ფლობდა, ამას მოწმობს მთელი მისი საუნივერსიტეტო კარიერა და მის მიერ შედგენილი ლექსიკონები, სახელმძღვანელოები თუ ანთოლოგიები.<sup>1</sup> გამომცემლობა „Naher Osten“-ის დაარსების ისტორიაზე მესამე თავში შევჩერდები, ზემოხსენებული სახელმძღვანელოს გამომცემასთან მიმართებით.

მეკელაინის ტაბელარულ ბიოგრაფიაში ექსპლიციტურად არაფერია ნათქვამი პროფესორის თანამდებობიდან მისი ჩამოქვეითების შესახებ, თუმცა ბიოგრაფიას აშკარად აკლია 1926–1940 წლების, ანუ ნაციონალ-სოციალიზმის შესატყვისი პერიოდის ჩანაწერები. ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ამ პერიოდის ამსახველი ბარათები, სავარაუდოდ, ამოღებულია კატალოგიდან და გადატანილია ცალკე საცავში; მოვისაკლისე ასევე საგანგებო ჩანაწერი ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთა კატალოგშიც, ე.წ. „*კატალოგუს პროფესორუმ*“-ში *catalogus professorum* (<https://cp.tu-berlin.de/person>), რომელშიც (რამდენიმე სხვა რეპრესირებული პროფესორის მსგავსად) მეკელაინის მხოლოდ გვარ-სახელია შეტანილი ნაცრისფერი ასოებით,<sup>2</sup> რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მასალები მეკელაინის შესახებ ჯერაც დამუშავების პროცესშია; განზრახულია შემდგომ მათი ჩართვა მოქმედ კატალოგში.

მეკელაინის თანამშრომლობა და პირადი მახლობლობა გრიგოლ რობაქიძესთან ფაქტობრივად დასტურდება, თუმცა ცოტა სახეშეცვლილი ფორმით, ვიდრე ეს ქართულ წყაროებშია აღწერილი; კერძოდ, ბონის არქივის ჩანაწერიდან ირკვევა, რომ მეკელაინს ვინმე კეტე როზენბერგთან<sup>3</sup> ერთად გერმანულად უთარგმნია გრიგოლ რობაქიძის მიერ ქართულად დაწერილი „*კავ-*

<sup>1</sup> ნიმუშად მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ:

Richard Meckelein (1928): *Georgisch-Deutsches Wörterbuch*. Berlin/Leipzig: De Gruyter, 565 Seiten.

Richard Meckelein (1931): *Polnische Grammatik von Sammlung Göschen*, Band 942, 135 Seiten, de Gruyter Mouton (Hersteller), 978-3-11-216594-2 (ISBN).

Richard Meckelein (1932): *Polnisches Lesebuch*. Berlin: De Gruyter.

<sup>2</sup> Grau hinterlegte Einträge sind bereits in der Datenbank vorhanden, jedoch in Bearbeitung und noch nicht freigegeben. <https://cp.tu-berlin.de/?c=results&search=simple&query=Richard+Meckelein%2C+1880+-+1948&dateStart=1770&dateEnd=2019&dateBirth=1770&dateDeath=2019&queryName=&querySubject=&discipline=&results=persons>

<sup>3</sup> დამაინტერესა თვით კეტე როზენბერგის პიროვნებამ, მის მიერ ქართულის ფლობის ფაქტმა და ა.შ., მაგრამ საცავებში ვერაფერს მივაკვლიე, გარდა *პირთა ფედერალურ დიგიტალურ კატალოგში* (<https://www.geni.com/profile/6000000022877395247/events/6000000022877395248>) რეგისტრირებული ვინმე კეტე მარია როზენბერგისა, რომელიც პროფესიით ასევე მთარგმნელი ყოფილა (Käthe Maria Rosenberg; \*1883 ბერლინი – †1960 ლუცერნი/შვეიცარია); 1939 წელს ემიგრაციაში წასულა თავის დასთან, ინტერიერის დიზაინერ ილზე დერნბურგთან ერთად (Ilse Dernburg; \*1880 ბერლინი – †1964 ლუცერნი/შვეიცარია) ჯერ ლონდონში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კი – ლუცერნში. დაყრდნობა მხოლოდ ამ ჩანაწერზე, ზემოხსენებული პირის იდენტურობის დასადასტურებლად ჩემთვის საინტერესო „*კავკასიური ნოველები*“ მთარგმნელთან, ალბათ არასოლიდური იქნებოდა, თუმცა არც სავსებით გამორიცხული.

კასიური ნოველები“. ეს ინფორმაცია, ანუ ნოველების გერმანულად თარგმნის ფაქტი, დასტურდება ასევე გამომცემლობა „ინზელ-ფერლაგ“-ის დიგიტალურ კატალოგში არსებული ჩანაწერის მიხედვითაც (<https://www.bresinsky.de/insel/texte/ib%200081-0090.htm>).<sup>1</sup>

### 3. მეკელაინის *Einführung in die deutsche Sprache für Georgier* და გამომცემლობა „Naher Osten“

მეკელაინის ნაშრომი *Einführung in die deutsche Sprache für Georgier* (nebst Chrestomathie und Wörterbuch). Bearbeitet von Richard Meckelein, Dozent am Seminar für orientalische Sprachen an der Universität Berlin. Berlin: Kultur-Verlagsgesellschaft m.b.H. „Naher Osten“ შედგენილია 1918 წელს. იგი მოიცავს 205 გვერდს; წიგნს უძღვის *გამომცემლობის წინასიტყვაობა*, შესრულებული ქართულ ენაზე (გვ. III–IV), და *ავტორის წინასიტყვაობა* ქართულსა (გვ. V–VI) და გერმანულ ენებზე (გვ. VII–VIII; აწყობილი გოთური შრიფტით). წიგნში შესულია შემდეგი თემატური მონაკვეთები: ანბანი და ფონეტიკური შესავალი (გვ. 1–4); თვრამეტი გრამატიკული თემა სავარჯიშოებითურთ (გვ. 5–140); ქრესტომათიური დანართი (გვ. 141–164; აწყობილი ნაწილობრივ ლათინური, ნაწილობრივ გოთური შრიფტით); გერმანულ-ქართული ლექსიკონი (გვ. 165–201); სარჩევი (გვ. 202–205). როგორც თვალის ერთი მოვლებითაც იკვეთება, ძირითადი აქცენტი კეთდება გრამატიკის მიწოდებაზე ენის შემსწავლელთათვის, რაც სავსებით გასაგებია ლინგვისტური განათლების მქონე ავტორის თვალსაწიერიდან.

#### 3.1. გამომცემლობის წინასიტყვაობა

გამომცემლობის წინასიტყვაობას ხელს აწერენ გრიგოლ დიასამიძე<sup>2</sup> და იაკობ ხოჭოლავა.<sup>3</sup> ისინი პატივით მოიხსენიებენ გამომცემლობის ნამდვილ დამაარსებელსა და მეცენატს, მრეწველ

<sup>1</sup> <https://www.bresinsky.de/insel/texte/ib%200081-0090.htm>:

**Nr: 83(2); Auflage: 04; Variante: 2: Robakidse, Grigol:** Kaukasische Novellen. (Magische Quellen, Die Tötung des heiligen Stieres, Der Imam Schamyl). Mit Vorwort des Verfassers. Übertragen von Käthe Rosenberg und Richard Meckelein. 4. (von 4) Auflage. 21. - 30. Tsd. Leipzig. 1943. 79, (1) Seiten. Original-Broschur. **ÜP Jenne 53.1e. ÜP 1920 – 0100/2 Wahrscheinlich Truppenbetreuungsaufgabe.** ÜP grauschwarz, weiß (gestaltet von Li Wegner). TS "Grigol Robakidse / Kaukasische Novellen" (Schrift schwarz, Rahmen hellrot, 4 Ecksterne) aufgeklebt, original ohne RS. Signet (S1) von Peter Behrens auf Vortitel rechts oben. Buchblock fadengeheftet. Gedruckt von Schnurpfeil & Steinmetz in Leipzig. **Bibliographie:** IB 83(2) / **IB-Hundert** 83(2) / **IK.IB** 83(2) / **IB.M.** 9,25 / **Jenne I/83(2)** / **Kästner** 83(2) / **Musiol** 443 / **Plantener** 83(2) / **Sarkowski** 83(2) / **Verzeichnis** 83(2).

<sup>2</sup> გრიგოლ დიასამიძე (\*1870 საქაშეთი/გორის მაზრა – †1960 ნიუ-იორკი) – ისტორიკოსი, მწერალი, პოლიტიკოსი; 1921 წლის თებერვლის მიწურულს საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში თავის ქალიშვილთან, ელენე (ლოლა) დიასამიძესთან ერთად; ცხოვრობდა ჯერ პარიზში, შემდეგ ბერლინში. 1922 წელს ბერლინში დააარსა ქართული სათვისტომო, რომლის პირველი თავმჯდომარეც თავად იყო. მომდევნო წლებშიც რამდენჯერმე იქნა არჩეული სათვისტომოს თავკაცად. 1922 წლიდან რიჰარდ მეკელაინთან ერთად რედაქტორობდა გერმანულენოვან ყოველთვიურ ჟურნალ „Morgenland“-ს. ქართველ თანამოაზრეებთან ერთად ბერლინში ჩამოაყალიბა „წითელი ჯვრის ქართული განყოფილება“, რომელიც ნაციონალ-სოციალიზმის წლებში მალევე დაიშალა; ხელმძღვანელობდა ასევე იმხანად ბერლინში მოქმედ „ქართული კულტურის მეგობართა საზოგადოებას“. 1945 წელს ბერლინიდან საცხოვრებლად გადავიდა დასავლეთ გერმანიის ქალაქ ვანგენში, ხოლო 1952 წლის მარტში დატოვა ევროპა და ქალიშვილთან ერთად გადაიხვეწა ამერიკაში, სადაც ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე. მას არც ნიუ-იორკში შეუწყვეტია ლიტერატურული საქმიანობა. მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, იყო ჟურნალ „ჩვენი გზის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ამასთანავე, ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარე და „საქართველოს დემოკრატიკული ალგენის ამერიკული საბჭოს“ გამგეობის წევრი, მოგვიანებით – უხუცესი მრჩეველი; გარდაიცვალა 90 წლის ასაკში (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართველები უცხოეთში: <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000250/>)

<sup>3</sup> იაკობ ხოჭოლავა, პროფესიით ექიმი; ემიგრაციაში წავიდა გასული საუკუნის ოციან წლებში მეუღლესთან, კატო ხოჭოლავასთან ერთად. ცხოვრობდა უპირატესად გერმანიაში; საყოველთაო პატივით სარგებლობდა ბერლინის ქართულ სათვისტომოში, როგორც თანამემამულეთა შემწე.

ივანე ვარაზაშვილს,<sup>1</sup> რომელსაც საგანგებოდ ხლებია ქართველ ინტელექტუალ-ემიგრანტთა ერთი ჯგუფი, მისთვის ქართულ-გერმანული გამომცემლობის დაარსების იდეის გაზიარების მიზნით. ამ ჯგუფის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, როცა თვით ბატონი ივანე ვარაზაშვილიც ასევე გულმ-ხურვალედ შეხვედრია მათ იდეას, რადგან შეთავაზებული დამთხვევია მის დიდი ხნის სანუკვარ ოცნებას. დიასამიძისა და ხოჭოლაგას სიტყვებით:

„თურმე მას (ანუ ვარაზაშვილს) დიდი ხანია სურდა თვითონ დაეწყო ასეთი საქმე, მაგრამ საამისო პირობები ხელს არ უწყობდა. ახლა კი, როცა ორივე მხრიდან წარმოიშვა ასეთი სურვილი ამ სახით სამშობლოს წინაშე ვალის მოხდისა, ამ პირმა ყოველი შრომა და ხარჯი გასწია დაარსებულყო კულტურული გამომცემლობა „Naher Osten“. ამ საზოგადოებას მრავალი მიზანი აქვს. ერთ-ერთ ამ მიზანს შეადგენს სამსახური ქართულ კულტურულ საქმისადმი ყოველი დარგის საჭირო ნიგნების დაბეჭდვის და გამოცემის სახით“ (მეკელაინი, 1922: III. სტილი დაცულია).

გამომცემლობის წინასიტყვაობა საგანგებო სტრიქონებს უძღვნის რიჰარდ მეკელაინს, როგორც ზემოხსენებულ გამომცემლობაში დასტამბული პირველი ნიგნის ავტორს (შევნიშნავ, რომ აქ არაფერია ნათქვამი მეკელაინის მხრიდან გამომცემლობის დაარსებაში თანამონაწილეობაზე):

„სახელმძღვანელოს ავტორზედ უნდა ვსთქვათ: სულ ახალგაზრდამ შეიყვარა ქართული, როცა, მისი სიტყვით, არც კი მოსდიოდა ფიქრში, თუ ქართველს შეხვდებოდა ოდესმე და გაიგონებდა ცოცხალ ენას. გარემოებამ ისურვა სულ სხვა. მსოფლიო ქარტეხილმა და ძალთა შეხეთქებამ თვალწინ დაუყენა ახალი საზრუნავი. გაჩნდნენ მის სამშობლოში მის მიერ შესწავლილი ენით მეტყველნი შვილნი, ტყვეები, და მეცნიერს გაეხსნა ახალი ასპარეზი ჰუმანურ-განმანათლებელ დახმარებისა მათ მიმართ“ (მეკელაინი, 1922: IV. სტილი დაცულია).

წინასიტყვაობის დასასრულს გრიგოლ დიასამიძე და იაკობ ხოჭოლაგა გამოთქვამენ იმედს, რომ სამომავლოდაც

„[...] ახალგაზრდა მეცნიერი (იგულისხმება რიჰარდ მეკელაინი) კიდევ ბევრ სასარგებლო საქმეს მიუძღვნის ქართველობას. ამ ხანად შეგვიძლია განვაცხადოთ: მას აქვს შედგენილი 30 ათას სიტყვიანი გერმანულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც ჩვენი გამომცემლობით სულ მოკლე ხანში გამოვა. ვუსურვოთ ქართველი ერის მეგობარს უშრეტი ძალ-ღონე ასეთ სასარგებლო საქმიანობის გასაგრძელებლად“ (მეკელაინი, 1922: IV. სტილი დაცულია).

მეკელაინმა მართლაც შეძლო გამოეცა საკმაოდ სოლიდური, 565-გვერდიანი ლექსიკონი, თუმცა დასტამბული არა „Naher Osten“-ში, არამედ სხვა გერმანულ, Walter de Gruyter-გამომცემლობაში; და ეს იყო არა ანონსირებული *გერმანულ-ქართული*, არამედ *ქართულ-გერმანული სიტყვარი*: Richard Meckelein (1928): *Georgisch-Deutsches Wörterbuch*. Berlin/Leipzig: Walter de Gruyter, 565 Seiten. ზუსტ ინფორმაციას ამ ფაქტის შესახებ ქრონიკებში ვერ მივაკვლიე. ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ ან წინასიტყვაობის ავტორთ გაეპარათ უზუსტობა ლექსიკონის დასახელებისას, ან მეკელაინს მეორე ლექსიკონიც ჰქონია მომზადებული, რომლის დასტამბვაც გარემოებათა გამო ვეღარ მოუხერხებია.

### 3.2. ავტორის წინასიტყვაობა

საზოგადოდ გავრცელებული ფენომენია უცხოელი ენათმეცნიერის მხრიდან თეორიულ პლანში დაინტერესება ქართული ენის ისტორიით, მისი მორფოსინტაქსური წყობით, კილოკავებიტა და ა.შ., ასევე უცხოელი მოგზაურის პოზიციიდან ქართული რეალებისა და მათთან დაკავ-

<sup>1</sup> ივანე ვარაზაშვილი (\*1879 თბილისი – †1955 ირანი) – სამთო საქმის სპეციალისტი და მრეწველი; პროფესიული განათლება მიიღო გერმანიაში, სადაც თავის ორ ძმასთან ერთად ეწეოდა მრავალ საქველმოქმედო საქმეს (დანვრილებით იხ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართველები უცხოეთში: <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/383/>)



შირებული საკუთარი რემინისცენციების აღწერა. არსებობს ამის არაერთი მაგალითი, რომელთა განხილვაც სცილდება წინამდებარე გამოკვლევის მიზნებს; მაგრამ ზემოხსენებული კონკრეტული წიგნის შემთხვევაში საქმე გვაქვს სრულიად უნიკალურ ფაქტთან, კერძოდ, როცა მეოცე საუკუნის ოციან წლებში გერმანელი ავტორი *ესთეტიკურ-შემეცნებითი მოსაზრებით*, და არა ყოფითი აუცილებლობის კარნახით, ქმნის გერმანული ენის სახელმძღვანელოს საგანგებოდ ქართველებისთვის, უფრო ზუსტად კი, ქართველთა მხოლოდ ერთი, ვინრო პროფილის სამიზნე ჯგუფისთვის – პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ახალგაზრდა მეომრებისთვის, რათა მათ სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც შეუნარჩუნოს კონტაქტი გერმანულ ენასა და გერმანულ კულტურულ რეალიებთან, რომლებსაც ეს ახალგაზრდები ეზიარნენ უცხოეთში ყოფნისას. ამ ინფორმაციას ვეცნობით განსახილველად წარმოდგენილი წიგნის *ქართულ და გერმანულ წინასიტყვაობებში* (მეკელაინი, 1922: V-VI / VII-VIII):

„ეს სახელმძღვანელო შეიქმნა 1918 წ. იმ მიზნით, რომ ქართველ ტყვეებს, რომელნიც გერმანიის ტყვეობიდან შინ ბრუნდებოდნენ, საჩუქრად და გერმანიაში ყოფნის სანახსოვროდ მისცემოდათ სრული და ადვილად გასაგები შესავალი გერმანული ენის აგებულებისა. გერმანიაში გატარებულმა დრომ [...] ძლიერი გავლენა იქონია ქართველ ახალგაზრდობაზედ, როგორც ამას ამტკიცებს მრავალი წერილი ტყვეთა. პირველად ჩაეყარა საფუძველი ქართველთა და გერმანელთა შორის დამოკიდებულებასა და ორივე მხარეს დაებადა სურვილი უფრო მჭიდრო კავშირი გაბმულიყო და განმტკიცებულიყო ამ ერთა შორის“ (მეკელაინი, 1922: V. სტილი დაცულია).

გერმანიაში ქართველი ტყვეების ცხოვრებას მიაწერს ავტორი ორივე მხრიდან წამოსულ ინტერესს, ერთმანეთის უკეთ გაცნობის მიზნით. წინასიტყვაობაშივე ვკითხულობთ:

„[...] როდესაც გერმანიაში დაიბადა ინტერესი არა მარტო კურთხეულ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთადმი, არამედ აგრეთვე ამ ერთხელ დიდმნიშვნელოვან კულტურულ ერის ისტორიისა და მწერლობისადმი, მაშინ ქართველთა ფართო წრეებშიც გაჩნდა ძლიერი მისწრაფება ესწავლათ და შეეთვისებიათ გერმანიის კულტურა და მეცნიერება, მწერლობა და ტექნიკა. დიდი ხნიდან არსებობდა საქართველოში საგრძნობელი ნაკლი გერმანულ სახელმძღვანელოთა და ლექსიკონთა უქონლობისა; ახალგაზრდა ქართველს მხოლოდ მიხვეული გზით, რუსული ენის საშუალებით შეეძლო ესწავლა გერმანული ენა. ეს ნაკლი უნდა შეავსოს ამ სახელმძღვანელომ: იგი პირველი შესავალია გერმანული ენისა ქართველთათვის და მას მალე მოჰყვება ვრცელი ლექსიკონი გერმანული და ქართული ენისა“ (მეკელაინი, 1922: V. სტილი დაცულია).

წინასიტყვაობას მეკელაინი ასრულებს ქართველი საზოგადო მოღვაწისა და აღმოსავლეთმცოდნე, შუმეროლოგ პროფ. დოქტ. მიხეილ (მიხაკო) წერეთლის<sup>1</sup> მიმართ გამოხატული მადლობით:

„არ შეგვიძლია ჩვენ აქ უღრმესი მადლობა არ გამოვუცხადოთ ბ. პროფ. მ. წერეთელს მისი ერთგული თანამშრომლობისთვის და ქართულ ტექსტთა კონტროლისთვის. [...] და არა ნაკლებ მადლობელნი ვართ „ახლო აღმოსავლეთის“ კულტურულ გამომცემლობისა, რომელმაც ფრიად ფართოდ შეუწყო ხელი ამ თხზულების გამოცემას და გულწრფელად ვუსურვებთ მას აღესრულებიოს თა-

<sup>1</sup> მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (\*1878 ცხრუკვეთი/ჭიათურის მაზრა – †1955 მიუნჰენი), 1918–1919 წლებში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელი შვეიცარიაში და ნორვეგიაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში დასავლეთ ევროპაში; 1922–1933 წლებში იკავებდა პროფესორის თანამდებობას შუმეროლოგიის განხრით ბრიუსელის უნივერსიტეტში, 1933–1945 წლებში – ბერლინის ფრიდრიჰ-ვილჰელმ-უნივერსიტეტში; 1945 წლიდან გადასახლდა მიუნჰენში, სადაც ის სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა; თანამშრომლობდა ქართული კულტურის, ენისა და ისტორიის პოპულარიზაციის მიზნით პარიზში გამომავალ სამეცნიერო ჟურნალში „ბედი ქართლისა“ *Revue de Kartvelologie*; კავშირი ჰქონდა ე.წ. *„ქართულ სამოკავშირო კომიტეტთან“*, რის შედეგადაც შეძლო გაენთავისუფლებინა გერმანიის ტერიტორიაზე მოხვედრილი მრავალი ქართველი ტყვე. გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე. <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/27/>.

ვისი გეგმა და რაც შეიძლება მალე გამოეცეს შემდეგნი თხზულებანი გერმანული და ქართული კულტურის შესასწავლად.

ბერლინი. აგვისტო 1922 წ“ (მეკელაინი, 1922: VI. სტილი დაცულია).

მეკელაინის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო სამჯერ გამოიცა გერმანიაში (1922/1924/1931), რაც მაჩვენებელია ნიგნზე არსებული დიდი მოთხოვნილებისა. ამ კონტექსტში არ შეიძლება ბუნებრივად არ აღმოცენდეს კითხვა დასახელებული ნიგნის საქართველოში ცნობადობის თაობაზე. შამუნხაროდ, ნიგნს ვერსად მივაკვლიე, თვით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგშიც კი არ არის ის შეტანილი. ნიგნს არც საშუალო და უფროსი თაობის გერმანისტები იცნობენ. ვარაუდის დონეზე დასაშვებია, რომ ნიგნი სცნობებოდათ ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ყოფილ პროფესორებს, ან გარდაცვლილ პავლე იაშვილს<sup>1</sup> და ნიკო ქადაგიძეს,<sup>2</sup> რამდენადაც ორივე მათგანის გერმანიაში სწავლის პერიოდი ქრონოლოგიურად ემთხვევა ნიგნის გამოცემის თარიღებს.

#### 4. დასკვნის მაგიერ

საარქივო მასალების შესწავლა უსასრულო პროცესია, ამდენად, არ გამოვირიცხავ, რომ დრომ მეკელაინის ცხოვრებიდან სხვა ახალი, ჯერაც უცნობი ფურცლები ამოატივტივოს, თუნდაც პირველი მსოფლიო ომის მონაწილე კავკასიელ ტყვეებთან კავშირში, რომელთა აუდიოჩანაწერებსაც ამჟამად ვიკვლევ ჰუმბოლდტის ბიბლიოთეკის ბაზაზე არსებულ აუდიოარქივში ბერლინის ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელ, დოქტ. ჰაიკე ლიბაუსთან ერთად და ვფიქრობ, მოპოვებული შედეგები ახლო მომავალში წარვუდგინო ქართულ საზოგადოებას. რაც შეეხება მეკელაინის *გერმანული ენის სახელმძღვანელოს*, *განკუთვნილს ქართველებისთვის*, ისევე როგორც მის მიერ შედგენილ *ქართულ-გერმანულ სიტყვარს*, ვფიქრობ, ორივე მათგანი უდავოდ იმსახურებს, იქცეს (იხ. სქოლიო 2) საგანგებო ლინგვოდიდაქტიკური კვლევის ობიექტად.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

Anrhologie Evolution, Mensch: *Micheil Zereteli*: [https://www.evolution-mensch.de/Anthropologie/Micheil\\_Zereteli](https://www.evolution-mensch.de/Anthropologie/Micheil_Zereteli)  
ბადენ-ვიურტემბერგის არქივი, ჩანაწერი Wolfgang Meckelein: Findbuch Q 1/45: <https://www2.landesarchiv-bw.de/ofs21/olf/einfueh.php?bestand=6746>).

ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის არქივი / Wissenschaftliche Sammlung an der Humboldt-Universität zu Berlin. Biographie: *Richard Meckelein*. Eintragstyp *Personen ID 17249*.

<http://www.sammlungen.hu-berlin.de/dokumente/17249/> (23.11.2017).

<https://www.sammlungen.hu-berlin.de/objekte/portraetsammlung-berliner-hochschullehrer/13072/>

ბერლინის *ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთა კატალოგი*: [https://cp.tu-berlin.de/ Catalogus Professorum 1770 - 1945](https://cp.tu-berlin.de/Catalogus_Professorum_1770_-_1945).

ბონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა / Bibliothek der Rheinischen Friedrich-Wilhelms-Universität Bonn:

<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/biblio/rar/rar.htm>.

ბონის უნივერსიტეტის არქივი / Archiv der Rheinischen Friedrich-Wilhelms-Universität <https://www.uni-bonn.de/einrichtungen/universitaetsverwaltung/organisationsplan/archive>.

გამომცემლობა „ინსელ-ფერლაგ“-ის დიგიტალური კატალოგი:

<https://www.bresinsky.de/insel/texte/ib%200081-0090.htm>

<sup>1</sup> პავლე იაშვილი (\*1894 სომინო/ონის მაზრა – †1989 თბილისი), 1920–1926 წლებში სწავლობდა ფილოსოფიასა და იურისპრუდენციას ბერლინის უნივერსიტეტში; გერმანულიდან თარგმნა მარქსის „კაპიტალი“.

<sup>2</sup> ნიკო ქადაგიძე (\*1895 ზემო-ალვანი/ახმეტის მაზრა – †1973 თბილისი), 1920–1924 წლებში სწავლობდა ეკონომიკასა და იურისპრუდენციას გერმანიაში – ერლანგენის, გიოტინგენისა და მიუნჰენის უნივერსიტეტებში; შედგენილი აქვს ორენოვანი *გერმანული ენის გრამატიკა* ქართველ შემსწავლელთათვის.

- გერმანიის სახელმწიფო არქივი: <https://www.deutsche-digitale-bibliothek.de/item/PII2JFGV3IGNQ27LVPZWRCEHKDKS4WM#0>  
კოდუა, ედუარდ (1967). *პავლე იაშვილი – 100*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.  
Liste bekannter Persönlichkeiten der Humboldt-Universität zu Berlin:  
<http://deacademic.com/dic.nsf/dewiki/2470864>;  
Micheil Zereteli: <http://deacademic.com/dic.nsf/dewiki/953512>  
Liste von Söhnen und Töchtern Berlins:  
[https://de.m.wikipedia.org/wiki/Liste\\_von\\_S%C3%B6hnen\\_und\\_T%C3%B6chtern\\_Berlins](https://de.m.wikipedia.org/wiki/Liste_von_S%C3%B6hnen_und_T%C3%B6chtern_Berlins)  
Meckelein, Richard (1922 / 1924 / 1931): *Einführung in die deutsche Sprache für Georgier* (nebst Chrestomathie und Wörterbuch). Bearbeitet von Richard Meckelein, Dozent am Seminar für orientalische Sprachen an der Universität Berlin. Berlin: Kultur-Verlagsgesellschaft m.b.H. „Naher Osten“.  
Meckelein, Richard (1928): *Georgisch-Deutsches Wörterbuch*. Berlin/Leipzig: De Gruyter, 565 Seiten.  
Meckelein, Richard (1931): *Polnische Grammatik* von Sammlung Göschen Band 942, 135 Seiten, de Gruyter Mouton (Hersteller), 978-3-11-216594-2 (ISBN).  
Meckelein, Richard (1932): *Polnisches Lesebuch*. Berlin: De Gruyter.  
პირთა ფედერალური დიგიტალური კატალოგი:  
(<https://www.geni.com/profile/6000000022877395247/events/6000000022877395248>)  
ქართული ვიკიპედია: <https://ka.wikipedia.org/wiki/>.  
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია (1975–1987): *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, თერთმეტ ტომად. ტომი 6, თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.  
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ქართველები უცხოეთში:  
<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/>.  
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ქართველები უცხოეთში: *დიასამიძე, გრიგოლ*  
<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000250/>.  
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ქართველები უცხოეთში: *ვარაზაშვილი, ივანე*:  
<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/383/>.  
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ქართველები უცხოეთში: *ნერეთელი, მიხეილ (მიხაკო)* <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/27/>.  
ფრანკფურტ-ამ-მაინის გოეთე-უნივერსიტეტთან არსებული *ჰაინრიჰ-რორბახერ-არქივი* / Heinrich-Rohrbacher-Archiv; Goethe-Universität Frankfurt, Vergleichende Sprachwissenschaft, Archiv-Schachtel 1: Archiv AS - Z + AS 16/29;  
<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/biblio/rar/rar.htm>  
Vörderverein Taunus-Tiflis e.V.: <http://www.taunus-tiflis.de/>  
ცელენდორფის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივი / Heimatverein Zehlendorf e.V. (1886):  
<http://www.heimatmuseum-zehlendorf.de/archiv.html> PS276.

## MARINA ANDRAZASHVILI

### RICHARD MECKELEIN AND THE FIRST GENERATION OF GEORGIAN EMIGRANTS IN BERLIN

#### Abstract

The given paper is dedicated to Dr. Richard Meckelein (\*1880, Arnstein/Bavaria – †1948 Berlin), German linguist and public figure, specialist in Slavonic, Balcan and Caucasian languages, Professor of Friedrich-Wilhelms University and the Technical University of Berlin. The name of Dr. Richard Meckelein is unfamiliar even among the circles of Georgian specialists of German, to say nothing of the society at large. My interest in his personality is determined by several factors:

- Meckelein's linguistic works: anthologies dedicated to the languages under research, dictionaries and grammar books, out of which, from the Georgian perspective, special mention should be made of *Georgian-German Wordbook* (Richard Meckelein, 1928: *Georgisch-Deutsches Wörterbuch*. Berlin/Leipzig: De Gruyter, 565

Seiten) and *The Textbook of the German Language, appended with a reader and glossary*, specifically aimed at Georgian learners (Meckelein, Richard, 1922: *Einführung in die deutsche Sprache für Georgier. Nebst Chrestomathie und Wörterbuch*. Bearbeitet von Richard Meckelein, Dozent am Seminar für orientalische Sprachen an der Universität Berlin. Berlin: Kultur-Verlagsgesellschaft m.b.H. „Naher Osten“);

- Meckelein’s personal contacts and professional cooperation with the representatives of the first generation of Georgian emigrants in Berlin in the 1920s: Orientalist Professor Dr. Mikheil (Mikhako) Tsereteli, Historian Grigol Diasamidze, medical doctor Iakob Khocholava, founder of “Naher Osten” publishing house Ivane Varazashvili. Mention should also be made of Meckelein’s relationships with the Georgian prisoners of the First World War. Meckelein considered them as direct targets of his language textbook;
- Meckelein’s translation activities. Together with Kathe Rosenberg, he translated Grigol Robakidze’s “Caucasian Short Stories” from Georgian into German (Grigol Robakidze, *Kaukasische Novellen. Magische Quellen, Die Tötung des heiligen Stieres, Der Imam Schamyl*. Mit Vorwort des Verfassers. Übertragen von Käthe Rosenberg und Richard Meckelein. 4. (von 4) Auflage. 21. - 30. Tsd. Leipzig. 1943).

The research is based on the materials depicting Richard Meckelein’s life and activities. These materials are preserved in Germany, namely, at Humboldt University in Berlin, Zehlendorf Museum of Local History, book depositories and archives of the universities of Frankfurt-am-Main and Bonn. The study is also based on the scanty information preserved in the Georgian sources. I have attempted to restore facts from Richard Meckelein’s life in chronological order and describe them more or less thoroughly within the German-Georgian comparative context.

For certain reasons, Richard Meckelein’s heritage has not been thoroughly studied and catalogued even in Germany. Therefore, the research is based solely on the documents represented in depositories before the year 2017. Taking into account the existing situation, I have structured the given paper in such a way that it focuses on Meckelein’s biography as well as the historical background of his epoch, which conditioned Meckelein’s interest in the Georgian language and gave him an impetus to contribute to German-Georgian cultural relationships.

The publisher’s note as well as the Georgian and German prefaces written by Meckelein himself, reveal several interesting historical details. The publisher’s note is signed by Grigol Diasamidze and Iakob Khocholava. They mention with great respect the founder of the publishing-house, philanthropist and entrepreneur Ivane Varazashvili. A group of Georgian intellectual emigrants visited Ivane Varazashvili and proposed the idea of establishing the Georgian-German publishing house. They were delighted when Ivane Varazashvili accepted the idea with great pleasure, as he had also dreamt of establishing such publishing house. The aim of the publishing house was to support and enhance Georgian-German cultural links and help establish better relationships between the two nations. The publisher’s note mentions Richard Meckelein with great reverence. Meckelein’s manual of the German language was the first official declaration made by the publishing house „Naher Osten“. The publisher expressed his hope that the young author would further contribute to the promotion of the Georgian language and culture.

The above-mentioned manual is also significant for the following reason: it was compiled in the 20s of the past century for *the aesthetic-cognitive purpose* rather than out of mere necessity. Its aim was to help young prisoners of war retain contacts with the German language and cultural realia even after returning to their motherland. In the preface, Meckelein expresses his gratitude to the publisher Ivane Varazashvili, orientalist, specialist in the Sumerian language and Professor Mikheil Tsereteli, who edited the Georgian part of the textbook and made interesting comments.

The book was published in Germany three times, in the years 1922, 1924 and 1931. This proves that there was high demand for the coursebook. It is a pity that the book is not known in Georgia and it is not registered on the electronic catalogue of the National Parliamentary Library of Georgia. It may be assumed that the former professors of Tbilisi State University – the late Pavle Iashvili (\*1894 Somitso/Oni district – †1989 Tbilisi) and Niko Kadagidze (\*1895 upper Alvani /Akhmeta District – †1973 Tbilisi) – were aware of the textbook. The period of their university education in Germany (1922–1926) coincides with the dates of publication of Meckelein’s work.

The study of archive materials is an endless process. Thus, it is quite possible that yet unknown facts from Meckelein’s biography will emerge in future. These facts may be related to the Caucasian prisoners of World War I, whose audio records are preserved at Humboldt Library Audio Archive. I am currently researching these records in cooperation with Dr. Heike Liebau, scientific worker of Berlin Center of Modern Orient. We hope, the obtained results will be presented to the Georgian public in the nearest future. As for Meckelein’s *Textbook of the German Language for Georgian Learners*, as well as his *Georgian-German Wordbook*, both these works deserve special linguo-didactic investigation.